# ქალაქ თბილისის

# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 309

"23" ივლისი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, 26 მაისის №2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.036.046) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/ნ. 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, 26 მაისის №2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.17.036.046) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/ნ: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივლისის №21.924.1016 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, 26 მაისის №2-ის მიმდებარედ 57 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.17.036.046) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ფასანაური 2016"-ისთვის (ს/ნ: 405141029) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 10 260 (ათი ათას ორას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე